ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 482406618**

თარიღი:**06/03/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან
თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, ამავე კანონის 99-ე მუხლის, ,, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 6 მარტის N03-4824066108 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქუთაისიდან წყალტუბოს შემოსასვლელში არსებული 20 მეტრიან საყრდენ ბოძზე განთავსებული გარე მოხმარების საქართველოს ეროვნული დროშა ძლიერი ქარების შედეგად დაზიანებულია. ახალი 8X12 მეტრის სარკისებრი ბადე დროშის შესყიდვის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს თანხა 9 900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის CITY HALL OF TSKALTUBO MUNI 221274545

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი